


გეგმა



წით. კ. დ. შორიგისა
სამშენიერო და სალიბერატურო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 13.

მარტი 28, 1893 წ.


№ 13.

მხანარსა — ნ. ა. ალექსევი, — რად მიხარია ადღვამა. — მატანე, — რა ეჭირვება სოფელსა ვას. მ — ლისა. — შესამეც-
ნებელი. — ზაზარეს აღდგენა. — წერილი ამბები. — საგულისხმო სიმონ ნიკოლოზის ძე წერეთლისა. — ხალხური ლექსები, ფშ-
ეში ჩაწერილი გრ. აფშინაშვილის მიერ. — დრანდის ტაძარი. — გვი ჩვენი ბრალიც! (მოთხრობა) შ. არაგვისპირელისა. —
ბიბლიოგრაფია XX — სა. — განცხადება.

ნ. ა. ალექსევი

მოსკოვის ქალაქის თავი

მარტის 9 დი-
ლით მოსკო-
ვის ქალაქის
საბჭოში უნდა შეე-
რილიყენ ახლის დე-
ბულოების ძალით აპო-
რჩიულნი ხმოსანნი
ქალაქის თავის ამო-
სარჩევად. ეიღრე არ-
ჩენენები დაიწყებოდა,
დილის 10 საათზედ,
მისულა სამსახურის
ვამო ამ რუსეთის
უმთავრეს დედა-ქა-
ლაქის თავი ალექსე-
ვი საბჭოში სხეა-
და-სხეა მორიგ საქ-



მეცების განსახილავად.
რამდენიმე მოზოგენ-
ლი რომ მიუღია, ბო-
ლოს შესულა იმის
მისაღებ ოთახში ერ-
თი შუახნის მოქალა-
ქე, ეილაცადრიანოვი
და სრულიად უმიზნე-
ზოდ ორჯერ რევე-
ლგერი უსროლია.
ბოროტ მოქმედი, რა-
საკვირველია, შეუპ-
ყრიათ, მაგრამ დაჭ-
რილს ამითი არა შეე-
ლებია-რა. მართალია
პირველში თეთონ
ალექსევეს ვერ შეუ-
ჩნევია თავისი საშიში
მდგომარეობა და ხუ-
მრობაშიაც ატარე-
ბდა თურმე ამ ამ-

ბეს, მაგრამ ექიმები რომ მოსულან და კრილობა გაუსინჯათ, პირდაპირ უთქვამთ: მოჩინის იმედი კოტადაა. დაჭრილი თავის სახლშიც ვერ გაღუყვანათ, შეუზღებო და იქვე საბჭოში, ქალაქის თავის კაბინეტში გაუყვებიანთ ოპრაცია, რომლის დროსაც აღმოჩენილა, რომ ტყვია საზარდულში მოხვედრიდა და დიდი ნაწლავი ორგან დაეჭრა.

დაჭრილს საუკეთესო ექიმებმაც ვერა უშედეგს რა და მარტის 11, დღით, დიდს ტანჯვას შემდეგ გადაიკვალა.

ალექსევი ორმოცის წლის კაცი იყო, ფრიად მდიდარი წარმომადგენელი მოსკოვის ევაქრთა საუკეთესო გვარისა. მოსკოვს ის რვა წელიწადი მოთავებობდა და ამ რვა წლის განმავლობაში დიდი სახელი მოიპოვა, როგორც მხნემა და დაუღალავმა მოღვაწემ. მის ხასიათში შვერთებული იყო თურმე ავიც და კარგიც იმ წრისა, რომლიდანაც ის გამოვიდა. მოსკოვის ევაქრთა მართლაც უცნაური ხალხია: არა წოდებაში ასეთი სიმდიდრე არ მოიპოვება, როგორც მათ წრეში და ამ სიმდიდრესთან შვერთებულია ხომას გადასული სტუმართ-მოყვარეობა. მაგრამ მასთანვე მოსკოვის ევაქრთა დესპოტია, მტარავლია თავის ოჯახში, ცოლი, შვილი, უმცროსი ძმები და დები თავის ყურ-მოჭრილი ყმები ჰგანია, რომლებზედაც ითქმის სიკვილი-სიციხლის უფლებას ითვისებს.

ნათქვამია მიცალმებულზედ ან კარგი უნდა ითქვას, ან სულ არაფერია და რუსული გაზეთებიც ალექსეევზედ ითქმის ყველანი მხოლოდ კარგს ლაპარაკობენ. ჩამოთვლილია ის მართლა დიდი ღვაწლი, რაც მან მოსკოვს დასდო: მან ააშენაო და გაამშენებიაო ქალაქის საბჭო, გამოუყვანაო კარგი და მარტოგისი წყალი, ააგოა კეთილად ვაჭრობილი საყსაბოები, ოც-და ათამდე სკოლა დააარსაო და ერთისთვის საკუთარი სახლიც შესწირაო, გააუშჯობესა საეკურნალო ნაწილიაო, დააარსა რამდენიმე ახალი საავადმყოფო და შეუღდა შემუშავებას მთელ მოსკოვში არხების გაყვანის პროექტისასაო. ზოგნი იქამდის გაიტაცა ამ ქება-დიდებას, რომ ალექსეევს მოსკოვის აღმაშენებელიც უწოდეს და დიდად ნაწობენ ასეთის კაცის უღროოდ დაკარგვას.

მხოლოდ მაშინ, როცა დასაფლავებს ალექსევი და მიწამ გააგრილა ეს ალტაბებული გრძობა, აქა-იქ წარმოსთქვას ის აზრიც, რომ ყოველ ამს ვასაკეთებლად საჭირო არ იყო ქალაქის წარმომადგენელთა ისე შელაგება და პირში ბურთის ჩაჩრა, როგორც ეს ხშირად ალექსეევის თავების დროსა მხდებოდაო; რომ, აი, პეტერბურგიც რუსეთის დედა-ქალაქია, იქაც არის იმისთანავე საბჭო, იქაც თუ არ მტო, ნაკლები არ გაეკითხულა მოსკოვზედ, მაგრამ

ყოველს წარმომადგენელს ქალაქისს შეუძლიან თავისუფლად წარმოსთქვას თავისი აზრი და ავი და კარგი ასწრო-დასწრონოსო.

მაგრამ მოსკოვს თავის საკუთარი ფერი სძევს და ალექსეევც ნაყოფი იყო მოსკოვის თავისებურებისა. აი, მავალიად, რა წრეში ტრიალებდა ალექსევი: როგორ ენდობოდენ მას და როგორ პატივსა სცემდენ მოსკოვის ევაქრები, რომელთა სისხლი და ხორცი ის იყო.

ქალაქის თავის კაბინეტში შედის ერთი უბრალოდ ჩაცმული ევაქრი და ეუბნება ალექსეევს:

— მე კოტა რამ მინდა შეგსწირო ქალაქს მოსკოვის...

— მიბრძანდით კანცელარიაში და იქ ჩააწერი-ნით შემოწირული—უზასუხებს ალექსევი.

— არა, მე თქვენ გენდობით მარტო, თქვენ მი-ღვით.

— მერე რამდენსა სწირავთ, გითხება ალექსე-ვეი, რომელსაც პირველში ეგანა, ათიოდე თუმან-ზედ იქნება ლაპარაკობსო.

— შეიღბა ორმოც და ათი ათას მანეთს...

მეორე მაგალითი:

ალექსეევს დასჭირდა ჭკუიდან შემოილოთა თავ-შესაფარისათვის სამახი ათასი მანეთი.

მოდის ერთი სქელი ევაქრი, თვით ალექსეევს მამასთან ნოქრად ნაყოფი და ეუბნება:

— მე მოგეცე ამ სამახს ათას მანეთს, მაგრამ თავყვანი მეც და ჩემწინ მიწამდე თავი დახარე, ალექსეევმაც თავყვანი სცა, მიწამდე თავი დახარა და მიიღო დაპირებული.

მკვლელი ალექსეევისა შემოილი აღმოჩნდა. ის თურმე საევიში იყო, მაგრამ ექიმებს მოჩინ-ნილი ჰგონებოდათ და გამოეშვათ. მერე რა ექიმებს? საუკეთესო, მეცნიერებაში გამოჩენილებს. ალექსე-ვის მოკვლამ სრულიად უმიზეზოდ ვიღაც ჭკუიდან შემოილის ხელით ერთი ფრიად თვალსაზრისა საე-ნი წამოაყენა წინ:

როგორ უნდა მოველოს ჭკუიდან შემოილებს, რომ საზოგადოების წევრთ არა აუტეხონ-რა. მეგრან არის თუ შესაფარი, მაგრამ შემოილოთა რიცხვი კიდევ უფრო მეტა თურმე, ვიდრე ბინა მათთვის. ამ შემთხვევაში განა ითქმის, ევაქრისა არ არისო? განა შესაძლოა ქუჩა-ქუჩა გაშვება იმისთანა პირისა, რომელსაც შეუძლია სრულიად უმიზეზოდ აუარე-ბელი ზარალი მოკლანოს? საზოგადოებამ უნდა გაი-კრიოსს, ხარჯი გაიწიროს და ყოველს სულით ავად-მყოფს თავშესაფარი მოუწინავს; მაგრამ ეს არის კიდ-დე, რომ ხშირად სულით ავადმყოფნი ისე ეკატ-ნებენ თავს, რომ პირველ მეცნიერთაღ მოჩინებლი ჰგონიან და თავისუფლებას აძლევენ. მეცნიერებას

ჯერ იქამდე არ მიუღწევია, რომ ამისთანა შემთხვევაში შეცდომა არ მოუვიდეს და ალექსევეიც მსხვერპლი შეიქმნა ერთის ამისთანა შეცდომისა.

განსვენებული ალექსევეი შარშან საქართველოშიაც იყო რუსეთის დამშუღლათების პურის საყიდლად, მაგრამ აქ დარწმუნდა, რომ ვადატანა ამ პურისა იმდენი დაჯდება, რომ ისევ შინაობაში ყოფილა აჯობებსო. შესაძლოა, რომ ალექსევეის აზრმა სხვათა შორის გავლენა იქონია და იმიტომ მოგვეცა ნება შარშან კვლავ პურის გაყიდვისა საზღვარს გარეთ.

რად მისწრია აღდგომა?



ანა საკითხავია? იმისთვის მიხარია, რომ ეს დღესასწაულთა დღესასწაულია; დღესასწაულების შეწება, ნიშანია ადამიანთა განახლებისა, სულით გასაბუთებისა, ზნეობრივის სიკვდილიდან აღდგომისა. იმისთვის მიხარია, რომ ეს დღეებული დღე თითქოს განგებ მაშინ შეუტრევიათ, როცა ყოველისფერი ახლდება, როცა თოვლითა და ყინვით შესუღრული დედამიწა იშორებს ამ სუდარას და ზოგვან შავად ელვარებს, ზოგვან თვალის მომტაც ხასხას მწვანე სამოსლით იმოსება. შავად ელვარებს არა იმისთვის, რომ ბნელი და მწყვედიანი მოგვაგანოს, არამედ მისთვის, რომ ზეციური ნამით დანამული გაბოხიერდეს, განაყოფიერდეს და შეიქმნეს აღმზრდელ ბუდედ ახალის მოძრაობისა, ახალის ცხოვრებისა.

იმისთვის მიხარია, რომ „აღდგომა“ „ახალწელიწადივით“ მარტო ცარიელი სიტყვა არ არის; ეს მართლა აღდგომაა ბუნებისა, როცა პირუტყენი, ფრინველი, თევზი, ქვემარაში, მწერნი, მცენარენი, ყოველივე ღვთის გაჩენილი ქმნილება ილიქებს და თავს ანებებს დაპაულოებულს ძილს, რომელიც ხასხა სიკვდილისა.

იმისთვის მიხარია, რომ ილიქებს მაშინ თვით მეფევე ქმნილებათა, ადამიანი, ილიქებს და შეხარის მობიბინე ბადასს, რომელიც თითქმის იმის თვალწინ იზრდება, კოკორ-აბურცულ ბუჩქებსა და ხეებს მწვანე ლეჩაქში მორატე ლამაზ ქალივით გახვეულებს, ყვავილთა მისასალმებლად გამოფრენილ ფუტკარს; დახარის ყოველს ამას და როცა მუღრობ ნელ-თბილ ჰაერში უკრიალით გაისმის სოფლის ზარის ხმა, რომელსაც თითქმის ყურათვის უსმენლად ყოველი ღვთის ბაღახისა ხანს ეუბნება, — გრძობს ნეტარებას, მშვენიერ გაზაფხულთან შეხამებულს და

მისი გონება და გული შორს მიისწრაფება, თითქოს ციქებს იმისთანა ალაგს, სადაც ეს ბუნება, ეს ჰაერი, ეს ნეტარება უყვდავი იყოს და მკედრითი აღდგომა აღარ სჭირდებოდეს...

მიხარია და მიყვარს აღდგომა იმისთვის, რომ მაგონდება სოფლის ლიტანია... მაგონდება მთელი წრე ნათლისა ეკლესიის გარშემორტყმული და ბნელს ღამეს, შორეულ სოფლებიდან ამასთანავე ლიტანიები, ქვეყანაზედ ჩამოსულ ვარსკვლავებივით მოჩინავე. მრწამს და მეტრა, რომ ეს ნათელი წრე ნიშანია ბნელის მიმოფანტვის; რომ გაივლის რამდენიმე წამი, მღვდელი „ქრისტე-აღდგა“-ს იტყვის; ხალხი ხალისიანად, გრილით უდასტურებს და ამ გრიალს მოჰყვება საერთო სიხარული, ქრისტიანული ამბიარი, მსურველე მილოცვა. ნელ-ნელა ირიტრატებს კიდევ და მალე, მალე დადგება დღე, ნათელი, ბრწყინვალე, მშვენიერი როგორც სახიერებით, ისე თავის ღრმა მნიშვნელობით.

მიხარია აღდგომა იმიტომ, რომ ამ დღესათვის მანაც ადამიანი იფიქვებს შურს, მტრობას, იშორებს ყოველგვარს უწინდურებას, სახე-გაბრწყინებული თვისი მოყვას უსიტყვო ბუნების ენას უთარგმნის და გულით ულოცავს აღდგომას ქრისტესას, აღდგომას ბუნებისას, აღდგომას ადამიანისას.

მ ა ტ ი ა ნ ე



იმის ზარი მოეფინა ჩვენს ქვეყანას შარშან გაზაფხულს, როცა ხოლოცის ხმა გაისმა. მეზობელი მეზობელს აღარ ეკარებოდა, მშობლები შეიღვებს ერიდებოდნენ და ბევრგან ადამიანმა უგრძობლობით პირუტყეს ვადაჯარბა. დიდ ხანს უნდა გაველო, რომ ეს შიშის ზარი დამტრიალიყო და ცხოვრება ჩამდგარიყო ჩვეულებრივს კალაპოტში.

მერე ამ ჩვეულებრივმა კალაპოტმა? კი ნაკლები უბედურება მოგვიტანა, ნაკლები ზარალი მოგვცა, ნაკლები ხალხი დაუხოცა ჩვენს ერს ისედაც თითქმის მიწასთან გასწორებულს? ყველაფერი შეჩვევაზედ ყოფილა. ხოლოცა უტოპ სიტყვაა, უცებ მოგვეკლინება, უცებ გვიღვებს ბოლის და ეს გვაზინებს, ესა გვეცემს ზარსა; ყალბიანს, წითელას, მყივანხველას და ყვავილს, რომელთაც სამუდამო ბინა აქვთ დაღებული ჩვენს სოფლებში, ნაკლები ენება მოაქვთ? შეეჩვიენით მეთქი და იმიტომ უგრძობლად გკითხულობთ გახვებში, — ამა და ამ სოფელში ყვავილი გაჩნდა და ხალხს მუსრის აელვებს; აქა და აქ მყივანახველამა და ამდენი ბავშვი იმსხვერპლა; ამა და ამ სოფელში კიდევ წითელამ ამდენი ყმაწვილი

მოკლავ; დიად, წითელამ ესე იგი იმ ავადმყოფობაში, რომელსაც ქალაქებში ცოტადენის შეძლების პატრონი ზეგუელად იხდიან.

გულცივად ვკითხულობთ ამ ამბებს მაშინ, როდესაც ერთის ადამიანის სიკვდილის ამბავი ხოლო ერთი ელერი-მელეთს დაგმართებს ხოლმე. სოფლებს არ ვახანებლბთ, ან რა საჭიროა. ვინ იცის, რამდენი სოფლის სახელის ხსენება მოვიხსენებოდა თუ კახეთში, თუ ქართლში, თუ იმერეთში, რომ სათითაოდ ჩამოთვლას მოეყოლიყავით.

არის ერთი მეცნიერება, სტატისტიკას ეძახიან, რომელსაც მხოლოდ ციფრებთანა აქვს საქმე და ყოველ საზოგადო მოვლენას ციფრითა წინშავს. ჩვენში რომ სტატისტიკა შემოღებული იყოს და სათითაოდ ვინაგარიზოთ, თუ რამდენი სიცოცხლე გამოგეტყუა ხოლერამ და რამდენი ამ სხვა-და-სხვა ავადმყოფობაში, რომელიც ნელ-ნელა ძირს უთხრის ჩვენს კეთილ დღეობას და ნორჩ თაობას, მომავლის იმედს ანახევრებს, ამესამედებს, — მწელი იქნებოდა იმისი თქმა, თუ რომელი რომელის აჯობებს, რომელი უფრო ნაყოფიერად იქნევს სიკვდილის ცეცს და ამრავლებს ჭირისუფლებს.

ხალხი სხვა-და-სხვა გადამდებ სწულებას „ბატონებს“ აბრალებს და ეს ცრუ-მორწმუნეობა მეტად ცუდიან მოქმედებს საერთო ჯანმრთელობაზედაც, — ჩივიან კორცესონდენტები. ცრუ-მორწმუნეობა კარგე არ არის, მაგრამ მარტო ცრუ-მორწმუნეობის მოსპობა რასა იქს? ხალხი საშინელს სიღარიბეშია, მიწის ქონში გამოძწყვედილი, ყოველ კუთხიდან ცივი ქარი უტრავს და გარშემო თოვლის ზინები დვას; შეშა არ არის, ცეცხლი დაანთოს; ნოყიერი საქმელი არ არის, რომ ავადმყოფს მიაწოდოს, ექიმი არ არის, წამალი არ არის და რა მარჩენს ამისთანა მდგომარეობაში მყოფ სწუელს? „ბატონები“ სულაც რომ არ ახსენონ, არ მოიგონონ, მაინც ავადმყოფს არა ეშველებარა, თუ ეს გარემოება არ შეიცვალა, თუ არ ეყურნა რამ ამ სენს და ეყურნა არა მარტო მკურნალობის შემწყობით.



ყველვან ასე არ არის. ზოვან უფრო შეძლებული ხალხი ცხოვრებს, სახლიც არის რიკიანი, მარგებელი საქმელ-სამელოცე, ექიმიც, წამალიც. ზოგიერთა ჩვენ სოფლებში სამკურნალოებიცაა დაწესებული თავის ექიმითა, ფერშლით, ბებით, აფთიეკით; ზოვან პირუტყეების ექიმის ალაგიც არის შტატით განწესებული, მაგრამ სამწუხაროდ ამისთანა დაბასოფლებში ხშირად უცნაური ამბები ხდება: ლამის მეტსრამეტე საუკუნე გათავდეს, ლამის შიდილი ქვეყანა ტელეგრაფებით და რკინის გზებით დაიპყროს; არამც თუ ტელეგრაფებით, ტელისში ტელეფონის

გამართვასაც აპირებენ ამ ცოტა ხანში, რომ ქალაქის ერთ ბოლოში მყოფმა მეორე ბოლოში მყოფს თავისი ხმა გაავგონოს, პასუხი მოისმინოს და ამ დროს ზოგიერთ ჩვენ მიყურებულ მხარეში თუმცა ექიმია ხალხის მოსარჩენად დადგენილი, მაგრამ ხალხის ენა იმას არ ესმის და ხალხს იმისი. შუამავალიც კი არაინ არის თურმე, რომ ერთიერთმანეთისა გაავგონოს.

აი, რასა სწერენ სახებრიდან იქაურ ექიმზედ თვით ექიმისავე სიტყვებით ერის რუსულ გაზეთში:

„ადამიარეს სოფ. ბერეთისას ციფირის იარით ავადმყოფთან, უამბნია ექიმს. გავიბრინე 20 ევრსტი; ვხედავ, რომ ხელზედ ავადმყოფ ქალს უშველებელი იარა აქვს; მაშინვე გამოარწყყას უნდა შეედგომოდ, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ჩემს ვარად რუსული არაინ იცოდა. რა მექნა? თარჯიმნის მაგიერად დანა ამოვიღე და ვაჩვენე. ავადმყოფმა შეტკივლა და შიშით აუკაცლდა. რაც სიტყვები ვიცოდი, სულ ზედ მოვიანბრე: „ცამალი, არა, ეს გლახა ცაივდეს.“ ის კი იძახის: „არა, არა, არ მინდა“. რა უნდა მექნა, სიტყვები შემოამოვლია; ერთი კიდევ მომავანდა და მაშინვე ჩავაყრე: „ეს გლახა ხორცი ცაივიდა, ცამალი არა“, ამანაც არა მიშველარა, ავადმყოფი უარს არის და ხელი უკან მიატქს. მიგებდი, რომ ქალს ევონა ხელის მოკრას ეუბიერებდი. ვერავითარის ნიშნებით ვერ დავარწმუნე ავადმყოფი, რომ ეს ასე არ იყო, დანა შეეინახე და წამსელთა დავებირე. შემომიხებენ, დაწყეს რაღაც ლაპარაკი და ძალა დაატანეს ავადმყოფს მითრთოლვარე ხელი გამოეშვირა. როცა იარა გამოეურწყყე, ავადმყოფი აღტაცებაში მოვიდა და მადლობის ნიშნად რაღაცას მეუბნებოდა. ამისთანა ყოფაში როგორ უნდა ეუსყვედურო ხალხს, ავადმყოფობის რაღაცა მუნდა, როცა მე იმათი არა მესმის-რა და იმათ ჩემი“.

უნებურად გეგვონდება ერთის თათრის სიტყვები, როცა ბაქსენს რკინის გზას აკეთებდნენ და აუხსენეს ბაქოში ჩასვლას ერთი დღე და ღამე მოუნდებო; არ შეიძლებაო, ეოქვა იმას, იმისთანა გზა მოიგონათ, რომ „ოკრუტროი სულიდან“ სულდენი პალტამდე“ ქალადმა ორი კვირის მტრი არ იაროსო! ტელეგრაფების, ტელეფონების, ფონოგრაფების საუკუნეში, როცა ადამიანები ერთმანეთს ათიათასს ევრსზედ ერთ წუთში ელაპარაკებინან, ჩვენ ისე ვახერხებთ, რომ ორს ერთიერთმანეთისათვის საჭირო ადამიანს ერთი ადღის მანძილზედ ერთიერთმანეთისა არა ესმოდეთ რა.



დიად, ერთი ქარი მარგებელია. შარშანდელმა უეცრად მოეღწენილა სენმა დაფიქრა ჩვენი საზოგადოება, ზოვან მაინც მიატყვეინა ყურადღება ბევრ

ნაირ მოარულ ავადმყოფობაზედ, რომელიც თუმცა თვალთუხინრად მოქმედებს, მაგრამ უეტრად მოვლენილზედ ნაკლებად არ ირგება. სწორედ შარშანდელმა ხოლერამ ჩაავიწო მავალითად ტფილისს იცე მოწყოლა სამკურნალო სახესია, რომ ეს ქალაქი მუდამ შეივარაღებულად იყოს სხვა-და-სხვა მანქან და ნაკუთრებით ვადაძმებ ავადმყოფობასთან საპროლოველად. ახლა ტფილისს შეიდი ექიმი ჰყავს განგებ ამ საქმისათვის დანიშნული და ერთიც მათი მოთავეს ექიმნი მოვალენი არიან ღარიბებს მუქთად უწაფლონ და ქალაქის საერთო სისუფთავეს, ჯანმრთელობას თვალს ადევნონ. სოფლებში ასე საქმის მოწყობა, რასაკვირველია უფრო ძნელია, უფრო ბევრის ხარჯის მომთხოვი, მაგრამ შეუძლებელი კი არ არის, თუ აღმინისტრაციამ და საზოგადოებამ ამ შემთხვევაში ხელი-ხელ გაყრით თავიანთი მოვალეობა თვალწინ წამოიყენეს და სწორს გზას არ გადაუხვიეს.

ამ ქაშად შეგვიძლიან მხოლოდ ეს ვაცნობოთ მკითხველებს, რომ უმთავრესი ყურადღება მიქცეულია მოსალოდნელ ხოლერაზედ. რადგან წასულ წელს ექიმები არა გეყოფნოდა, პეტერბურგიდან ათი ექიმი დაუბარებიათ, რომელთა შორის ექვსენი კიდევ ჩამოვიდნენ ტფილისს და სხვა-და-სხვა გუბერნიებში განწესდნენ. ხოლერის გაჩენამდე, ამას გარდა, კავკასიაშივე 50000 მანათია გადაღებული და თუ განჩადა, მაშინ ეს ფული 200000 მანათამდე ავა. 20000 მანათისა უყიდნიათ განსაწმენდელი (სადგინფექცია) წამლები და ზოგან გაუჭაუნიათ კიდევ სოფლების ტანსაკურნებლად. მავალითად ყველა მკურნის უფროსს ტფილისის გუბერნიისას მისვლია 61 გირეჩაქა დაწმენდელი კარბოლის ძმარი და 10 გირეჩაქა სულიჟა.

დაუშაბტებთ აქვე, რომ აპრილის 20 დანიშნულია წლიური კრება ტფილისის სათავად-ანაურო ბანკისა, რომელმაც შარშან 12000 მან. დახარჯა ამ საქმეს და უშეკელია მომავალშიაც მიიღებს მხურაველ მონაწილეობას. იმიერია რომ საზოგადოება ამ კრებაზედ ჯეროვანად ასწონ-დასწონს საქმეს, წარსულის ნაკლებეცხანებას უჩვენებს და გამოარკვევს გზას უკეთესად მოქმედებისა მომავალში.



მარტო უნუგეშო ამბები არ მოდის სოფლებიდან. ზოგიერთი ამბები ფრიად სანუგეშოა და იმედის მომცემი მომავლისათვის. ჩვენ სკოლების განსწავლედ და გამოავლებაზედ არა ელაპარაკებთ და გულდახსნით რომ მოისმინათ ჩვენი აზრი, არც დიდ მნიშვნელობას ეძლევენ იმისთანა სკოლას, რომელიდანაც გამოსული ბავშვი ერთ წელიწადს იფიწყებს სამსწელიწადში შეძენილს; ჩვენ ელაპარაკებთ იმისთანა საგანზედ, რომელიც უსათუოდ სკოლის დამატება

უნდა იყოს, თუ გინდა რომ უქანასკნელმა შესუფერი ნაყოფი მოიტანოს—ჩვენ ელაპარაკებთ სახალხო სამკითხველოებზედ.

ჩვენდა სასიამოვნოდ გვერგან გავრცელებულა ეს აზრი, რომ უსამკითხველოდ სკოლა უნაყოფოა, უნიადაგოა, თითქმის უსარგებლოა და, აი, ზოგან შესდგომიან კიდევ ამ საქმის ჯეროვან საძირკველზედ დაუფრენებას.

უმთავრესი დამსახურება და ღვაწლი მიუძღვით სოფლის მასწავლებლებს, ამ თემადაბად და ჩუმ მუშაკთ, რომელთაც ჯილდოს თე-ვანწირულ მოღვაწეობისათვის მწელოდ თუ მოესწრებინან. ეს საქმე ფეხზე დაუყენებიათ უფრო გურიაში, სადაც თითქმის მთელმა ხალხმა იცის წერა-კითხვა და სადაც პატარა დაბებშიაც კი ხსნიან სტამბებს და წიგნის მაღაზიებს აარსებენ. ამ ცოტა ხანში იქ გაუსწნიათ სამკითხველო სოფ. აქეთში და მალე ბაზას და ასე-კანაშიაც გვექნება. მაგრამ გურიას გარდასხვა ჩვენის ქვეყნის კუთხეებშიაც ჩნდება სურვილი ამ გვარის საქმის დაწყებისა, მაგ. ცხინვალში, რუისში და სხე.

ამ კითხვას და წმინდა მისწრაფებას ხელის შეწყობა უნდა, დახმარება ექირებება. ჩვენის აზრით ეს დახმარება უნდა აღმოუჩინოს „წერა-კითხვის საზოგადოებამ“. მან უნდა იქონიოს საი ყველა სამკითხველოებისა და მიმართოს წიგნების გამოიმკემლოთ თხოვნით, რომ ყოველმა გამოიმკემლო იმდენი წიგნი მიაწოდოს ამ საზოგადოებას, რამდენი სამკითხველოც ამა და ამ დროს არსებობს და ეს წიგნები თუ მანებელის შინაარსისანი არ არის, დაურიგოს სამკითხველოებს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ყოველი გამოიმკემელი სიამოვნებით გამოიმკეტებს ორმოცსა და ორმოც-დაათ წიგნს, თუ არ მუქთად, იმ ფასად მაინც, როგორც თითონ უჯდება მით უფრო, რომ ეს მის წიგნს ბაზას კი არ მოაკლებს, ერთითად მოუმატებს, რადგან რაც მეტი საზოგადოება გაიცნობს მას, მით უფრო მომეტება ყველას სურვილი საკუთრებად შექენისა.

ამას გარდა წერა კითხვის საზოგადოება ამ საერთო სურვილის სამკითხველოების დაარსებისას უნდა იმითიც დაეხმაროს, რომ გამოსცეს წიგნები განსაკუთრებით სამეურნეო, სამეცნიერო, საჰიგიენო და სხე. რომ ამგვარი საშუალებით ხალხში ცოდნა გავრცელდეს და სიღარიბის მოსპობას ხელი შეუწყოს.

მხოლოდ მაშინ მოიპოვებს ეს „საზოგადოება“ საერთო თანაგრძობას, როცა ხალხი ნახავს, რომ მასაც მშრომელი ჰყოლია, მასაც ჰყოლია გულის შემატეიარი და ვაკირებებაში ხელის შეშეწყობა.

რ ა მ პ რ ი მ ა ბ ა ს ო უ ლ ს

წერადა მკათხე



ლეს მკითხველს უნდა მოველაპარაკო მეორეთ-
ბის ერთ დამაბრკოლებელ მიზეზზედ, რომე-
ლიც შედეგია უმთავრესად ჩენი მამულტვის
გამოურკვევლობისა რ იმათ ნაკუწ ნაკუწად დაყოფისა,
აქა-იქ განხევისა. ეს მიზეზი სხვის საკუთრების აბუჩად
აგდება.

ქართული ანდაზაა: „ავი შემნახავი ქურღზედ
უარესიაო.“ ამ ანდაზის დედა-აზრი ის არის, რომ
ვინც ვერ მოუღელის თავის საკუთრებას, რიგინად
ვერ უპატრონებს, ის ამით დიდ ცოდვის ჩადის, რა-
დგან მანვე და ბოროტ გრძნობას უღვიძებს იმ პირ-
თა, რომელნიც პატიოსნებას მოკლებულნი არიან
და სხვის საკუთრების გატაცება სასახლოდ მია-
ჩნიათ.

ეს ბედი დაადგა ჩვენს მამულესაც გამოურკვე-
ვლობისა და აქა-იქ ნაკუწ-ნაკუწად გაბნევის გამო.
რადგან ნამდვილი პატრონი ვერა სწედება და რი-
გზედ ვერ უღელის, ვინც კი დაბალი გრძნობით არის
გარემოცული, ის უნდადეს პატრონად, ის ხმარობს
სხვის მამულს, სხვის საკუთრებას, როგორც თავისას.
ეს არის მიზეზი, რომ ჩვენში მტკიცედ არ არის
დაცული სხვისი საკუთრება და ძალიან სუბუ-
ქად უტკერიან მამულის ყოველგვარ დაზარალებას
უცხო პირისაგან. მეზობელი რომ ჰხედავდეს მეზო-
ბლის მამულის წახდენას და შეეძლოს მიზეზის აც-
დნა, ყურსაც არ გაიბერტყავს, არამც თუ თავი გა-
მოიდოს. ერთი ერთმანეთის მამულის პატრონობას
უფრო გლგეცაკობაში ჰნახავთ. თავდა-აზნაურობის
მამულებს კი ისინიც უფულოდ და დაუდევრად
ეპყრობიან. სახლვარის გარეთ, უცხო ქვეყნებში, სა-
დაც საკუთრება სრულიად გამოურკვეულია, და ყე-
ლამ იცის, ვის რა ეკუთვნის, არავის შეუძლიან და-
უსჯევლად სხვის მამულიდან რაიმე ისარგებლოს.
ეს რად გინდათ, გულით რომ გინდოდეთ, სხვის ხე-
ზედ ნება დაურთევლად ერთ ვაშლს ვერ მოსწყვეტთ,
ერთ კაკალს ვერ ჩამოაგდებთ; მაშინვე ერთ-
თი ათად და ერთი ოცად უნდა გადაუხადათ. ბა-
ლებსა და ევენებებს ვარშემო იქ ღობეს ვერა ნახათ.
ჩვენში კი უმთავრესი ხარჯი ღობეზედ და სხვა ფრიც
მამულის შევარებაზედ მიდის. ხშირად პატრონი გა-
ლანებებთაც ვერას აწყობს და თუ კარგი თვალსა-
ჩინო გაქვთ რამე ან ბაღში, ან ევენაში, აუტოლებე-
ლია, არ მოგპარონ, არ დაგაზარალონ. კაცი კიდევ
არაფერი, ხშირად საქონელს ატეხინებენ ღობეს და

აზოხრებინებენ, ასე რომ უყარაულოდ კარგი ბაღის
და ევენახის შენახვა მეტად ძნელია. ხშირად გაგეყო-
ნებათ, რომ მშვენიერი ნამყენები ქურღებს დაუთ-
ხრიათ, წაუღიათ და რაც დარჩენილა, დაუმტკიცე-
ათ. ყანებზედ ხომ რაღა ითქმის. თუ სოფელს ახლოა,
ნახევარი, ანუ შესამედი საქონლის წილად უნდა ჩა-
ითვალოს.

ახლა გკითხავთ, რა ჰქნას მემამულემ, რომელ-
საც არც სწავლა აქვს და არც ძალა მოსდევს გაუ-
ძღვეს ამ მანვე წეს-წყობაზედ? როგორ გააუმჯო-
ბესოს თავის მდგომარეობა? სად, როგორ და რას
გახდეს? ეს ისეთი სამწუხარო საკითხავებია, რომელ-
თაც პასუხი მაშინ ეღირსება, როცა თითონ ჩენი
საზოგადოება გამოაფიანოლებს ღრმა ძილიდან, რო-
დესაც ჩენს სოფლებში სწავლა-განათლება დატრი-
ალებდა და გაერცვლებდა გრძნობა ერთი ერთმანე-
თის დახმარებისა, ხელის შეწყობისა.

არ იქნება უყურადღებოდ დაეტოვოთ ერთი
მანვე მოვლენა, რომელმაც ამ მოკლე ხანში ფეხი
მოაკიდა და ნამეტნავად იმერეთშია გაერცვლებული.
ეს არის ახალი სასამართლოს წესების შემწეობით
უსინიღისოდ სხვის მამულეზედ დაპატრონება? თუ
ვისმედ სხვა-და-სხვა ადვილას მამული აქვს, ერთ-ერთ
ამ მამულზედ პატრონის შეუტყობლად დაწყებს
ორი კაცი ერთი ერთმანეთში დაეას; სასამართლო-
ში ერთი მათგანი განგებ საქმეს აგებს; მეორეს გა-
მოაქვს განჩინების ფურცელი და იბარებს მა-
მულს. ან არა და ერთი კაცი აძლევს მეორეს თა-
მასუქს; თამასუქის პატრონი წარადგენს სასამართლო-
ში, გამოაქვს განჩინების ფურცელი და ვალში უწერს
სხვის მამულს, როგორც მოპასუხეს და ასე უყიდის სა-
ჯარო ვაჭრობით, ტორგში. თუმცა ბოლოს პატრონს
შეუძლიან უკანედ დაიბრუნოს მამული, მაგრამ ბეე-
რჯედი ვერას ჰხდება; ჩენის კანონის ძალით ისე
ძნელია ამ გვარი დავების გაძლიოლა, რომ ხშირად
მამულის პატრონს მეტი ენარჯება თვით მამულის
ღირებაზედ. მაგალითად ავიღოთ ორი სამი დღის
სახნავი მიწა. თუნდ ზევრი ვინაგარიშოთ, ამ მიწის
ფსიკი თხოთმეტს ან ოც თუმანს არ გადმე-
ტება. ესთმეათ ეს ორი სამი დღის მიწა მეორე პი-
რამა წელან ნაჩენები გზით ხელთ იგდო. პატრონმა
უნდა სამართლით უკან დაიბრუნოს თავის საკუთ-
რება. შეაქვს მომრიგებელ-მოსამართლესთან საჩივა-
რი, უღდენს თავის საბუთებს; კარჩევის დროს მოპა-
სუხე არა ცხადდება, რადგან კარგად იცის, რომ მა-
სუქან ადვილად მოშლის მოსამართლის განჩინებას.
დაადგენს მსახული ვანაჩენს. რამდენსამე ხანს შეგ-

დღე მოპასუხეს შეაქეს პროტესტი და აშლიეინების მთელ განაჩენს. მეორედ გარჩევის დროს მოპასუხე აცხადებს, ეს საქმე მომრიგებელ-მოსამართლეს არ შეეხება, რადგან სადავო მამული ორას თუმანზედ მეტი ღირსო და ვთხოვთ, მოსპოთო ან და მომჩივარმა ოლქის სასამართლოში უნდა იჩიელოსო. მოსამართლე კანონის ძალით, რაკი ორას თუმანზე მეტი დათვასეს სადავო მამული, სპობს საქმეს. რა ჰქნას ილაჯ-გაწყვეტილმა მამულის პატრონმა? წაეიდეს ქალაქში და ოლქის სასამართლოში დაიწყოს საქმე? ხომ დაილუპა ჯერ მარტო ეეკილს მოუწდება ორასი თუმანის საქმეში ოცი თუმანი ჯილდო, ახლა ბაქო, მარკებო, სანჩიერის პირებო, მოწმებო და გამოვა, რომ სადავო მამული ხარჯად აღარა ღირს. აი, როგორ უბრალოდ პატრონს ეცლება ზოგჯერ ხელიდან მამული, მეტადრე მაშინ, როდესაც პატარ-პატარა ნაჭრებად არის დაყოფილი.

გეიციერს, ან წრეულს, როცა ოც-და ხუთის წლის იუბილიე იდღესწაულეს ახალი სამართლის შეზღუდებისა კეკესიაში, ან მთელ ამ ხნის განმავლობაში, რატომ არაეის გაელენიან და შეგნებულ პირს ანუ საზოგადოებას არ მოავიანდა, რომ ვთხოვნათ ამ გვარი უსამართლო წესების შეცვლა. თუ ისეე ჩვენე არ ეთიქრეთ ჩვენ თაეზე, ძნელი საქმე დაგვემარტება.

ვას. შ—ი.

შესამკესნებელი



ვეროში ეს მეორედ არის, თუ მესამედ გევი-თებინან, ნეტა სიტყვა „ნახატებიანი“ რა უნდა იყოსო? პირველად რომ წაეიკითხეთ, ასე გვეგონა, ზუმრობდენ; მაგრამ შემდეგაც რომ გათეორეს, მაშინ კი დაერწმუნდით, აღარ ზუმრობენ და მართლაც ეს სიტყვა გაზეთის ლექსიკონში დაკარგვაით. დახედეთ უბედურებას! იქამდისაც კი მივაღწიეთ, რომ სიტყვა „ნახატებიანი“ რა არის აღარ ვიცით. ამზედ მეტი საშუებარო მოვლენა ვანა კიდევ იქნება? ის კი იციან, ვითომც „უნარი“, „მასლათი“, „სამაბი“, „უზური“, „ხამუშ-ხამუშ“, „ლისტი“ ქართული სიტყვები იყოს და „ნახატი“, „ნახატები“ და „ნახატებიანი“ კი აღარ იციან. აი, ამისთანა შემთხვევისთვის არის ნათქვამი: „მამის სული დაეიწყებიათ და მამინაცელის სულს ჰეიციენო“. ქართული სიტყვიერების

გადამახინჯება იმ ზომამდე მიეიდა ამ თხუთმეტის წლის განმავლობაში, იმდენად დაეკარგა ჩენს ძველს დარბაისელს ენას თავისი კილო და შინაარსი, რომ მეტი რა ღონეა, უბრალო ქართული სიტყვების ეტიმოლოლიურად ახსნაც კი უნდა ეთეირათო უმეტრების შესასმენად; მეტი რა ღონეა, უნდა დაეიწყათ „ნახატებიანი“: „ნახატები“ წარმოებს სიტყვისაგან ხატეა; ამისგან მიმეღობა იქნება ნახატი, რომელიც რუსულად ითარგმნება რისუნიოქ. მრავლობითი იქნება ნახატები — რისუნიკი და „ნახატებიანი გაზეთი“ ითარგმნება რუსულად газета с рисунками, или иллюстрированная газета.

ამ სახით: ხატი—образъ, икона.

ნახატი—рисунок

მხატვრობა—живопись

მხატვარი—живописецъ.

ჩენს ლიტერატურაში ენის უცოდინარობის გამო, კარგა ხანია, შემოვიდა ხმარებაში სიტყვა „სურათი“ „ნახატის“ მაგიერად; მაგრამ სიტყვას „სურათი“ სრულებით არა აქვს ის მნიშვნელობა, რაც სიტყვას „ნახატი“. „სურათი“ არის არაბული ენიდან, რაიცა ნიშნავს სახესა, ანუ სანახაობას, რუსულად картина, ანუ გამოქანდაკეულს სხე-და-სხევა მასლისაგან ქვისა, მარმარილოსა და ლითონისაგან ანდრიატს, ავრთევე ფერადის ძაფისაგან ნაკვრას და ნაქოსს სახესაც სურათი ჰქვია. ხოლო წამლებით, ან მელნით და ტუშით დახატულს სახეს ჰქვია ნახატი; არასოდეს ზედმიწევნით ქართულის ენის მცოდნე კლამით, ანუ ძუით გადაღებულს სახეს ტილოზედ, ან ქაღალდზედ არ უწოდებს „სურათად“, არამედ „ნახატად“. მაგრამ იმათგან, რომელთაც ძველი მწერლობა არ გაუცნიათ და ქართულიც სომხურისა და თათრულის სიტყვიერების გავლენით შეუსწაველიათ, იმათ კარგი ქართულის ცოდნა არ მოეუბოგებათ, ჩვენ მხოლოდ გევიკირებებს და თან სასოწარკვეთილებშიაც შეეყავართ აღიერ-წახსნილს უმეტრების რისს და ხმა-მალა ღალადებას. გაგეიგონია, რომ მეციერებით და ცოდნით მოჰქონდეს თავი კაცს, მაგრამ უმეტრებას რომ სხადილდეს და ხმა მალა ჰქვიროდეს, ამის მეტად არ მოეწურებივართ. თუ სხვა უფრო პატრისადები საბუთი ხელთ არა აქვთ, ჩუბინაშვილის ლექსიკონში მაინც ჩახხელან ხოლმე.



ს ა ნ ა ა მ ს ა ლ ე მ მ ე ა

ჩუბუჭის მხატვრობიდან.

ფიანიაში იქცა ავადმყოფი ლაზარე, მარიამსა და მართოს მამა. ღებმა აფარინეს კაცი იესოსთან და შეუთვალეს: «უფალო, შენი საყვარელი ლაზარე შეწუბებულაო». იესო მშინვე წამოვიდა თავის მოწოდებით, მაგრამ ლაზარე მკვლარი დასვდა. მართა მიეცხა უფალს და უთხრა: «უფალო, შენ რომ ამ უფილით, ჩემი მამა არ მოკვდებოდა; გარნა მე ესეც ვუწუ, ჩასაცა სთხოვ ღმერთსა, მოგეტყვა. სოჭე უფალმან: «ლაზარე უნდა აღდგეს». წატივი იესო საფლავად, ბრძანა გაღვივებინათ ქვა საფლავისა და ხმა სჳო ხმითა დიღითა: «ლაზარე, გამოვედ!» და მკვლარი აღდგა, შეტეული სუფაითა და სანქამოფარებული. ჩქე უფალმან: «შესწითი სულარი და ვიღოდე!» მას დანა შინა მრავალითა იუდიანთა, მისულითა მარიამთან, იხილეს-ჩა ტეხ, იწამეს იესო მე ღმერთსა.

წერილი ამბები

საგულისხმო

ათოჲიდან მოგვიედა ფრიად სასიამოვნო ამბავი. ამ თვის 20-ს, შაბათს ბათუმის საკრებულო ტაძარში მთავრობის განკარგულებით უკუთხებიათ მგორე ტრაპეზი ქართულის წირვა-ლოცვისათვის. დიდი მადლობის ღირსნი არიან სხვათა შორის ამ საქმის მთაოსნებელნი მღვდელი თოთბახე, ე. წ. ვედვენიშვილი, ი. ლომინაძე, ა. შებლაძე, ს. საბაშვილი და მ. ნიკოლაძე. იმედია ისინი ამით არ ვათავებენ თავის კეთილ საქმეს. ყველამ ვიცით, თუ ქრისტიანულ სათნოებისათვის რამდენადაც საქაროა ქართული წირვა-ლოცვის გაშვენიერება ქართული ვალაბით. არ ეცობთ, რომ გელოლები, როგორც დახელოვნებულნი ქართულს ვალაბაში შეადგენენ შესაფერის ქართულ ვალაბის ხორბს და ამით აღძერგენ კეთილ-მორწმუნეთა გულ-ღმობიერებას და სხვებსაც აღუძერგენ სურვილს ქართულისწირვა-ლოცვისათვის.



გამოვიდა და ისყიდება: „სალამური“, სასიძღვრო ლექსები აკაკისა. წიგნის ფასი სამი შაურია.

აგრეთვე „აკალდამები“ ქრისტიანობის პირველ საუკუნეთა ცხოვრების აშავი. 'ფასი ათი შაურია. რაც ამ უკანასკნელს წიგნის გასაღებთ ნაღდი მოგება დარჩება, ის ფული გამოცემლის სურვილისამებრ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ გადაეცემა.



ტუთისში, 1830 წ., პოლიციის უფროსად ყოფილს ბნს საულისს დარჩენია საქართველოს უკანასკნელის მეფის გიორგი მეცამეტის სახე; ფერადის წამლებით დასაბუთლო. ეს ნახატი წინად 1820 წ. ერთ ფრანგულს ნახატებიანს საკიაროა გამოცემაში ყოფილა დაბეჭდილი. გიორგი მეფეს ბუხრული ქუდი ჰხურავს, ხმალ-ხანჯლი და სხვა იარაღით არის მორთული, მაღალ-ყელიანი ჩექმები აცეია.



ამბობენ, რომ კავთისხევისაკენ, მაღალანთ ეკლესიაში, ერთ კედელზე მრავალი ქართველი გმირები არიან დახატულები თავიანთი ტანთ-საქმილითა. აგრეთვე მოწმობენ, რომ ბეთანის ეკლესიის კედლებზედ აქამდის შენახულა დახატული სახეები თამარ მეფისა და სხვათა გამოჩინულ ქართველთა, რომელნიც მეთორმეტე საუკუნეში ცხოვრებდნო.

მინ არ იცის, რომ ბ-ნს ყორღანის ბეერი სიგელ-გუჯარი, ხელთ-ნაწერი წიგნები მოუკრებია; აგროვებს კიდევ და რამოდენიმე წერილიც აქვს დასტამბული ჩვენს ყურნალ-ვახუშტეში ამ საისტორიო წყაროების შესახებ; სხვათა შორის, როცა ამ სტრაქონების-დამწერი სწავლობდა, ბ-ნმა ყორღანიამ თხოვნა თავის შევირდებს სოფლებში ბეერი ძველი სიგელ-გუჯარი და წიგნებია ტყუილ-უმრალოდ გაუანტული, რომელნიც არც პატრანს არგიათ და ჩვენის ისტორიის მკვლევარსაც აკლდე-ბაო, შეკრიბეთ და მე ჩამომიტანეთ, მერე მე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ წარუვლდენ და სასარგებლო საქმე იქნებაო.

შევირდებამაც არ გაუშტყუნეს ბ-ნს მასწავლებელს თხოვნა და ბეერი ხელთ-ნაწერი სიგელ-გუჯარი, ხალხური ლექსები, გამოცანები და ანდაზები შეკრიბეს სოფლებში და ბატონ ყორღანის მიუტანეს იმ პირობით, რომ მას „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის“ წარუვლდნა და ეს ჩვენთვის გახეთის საშუალებით შეეტყობინებია. მაგრამ დღესაც არ ვიცით, სად არიან ის ჩვენ მიერ შეკრიბილი სიგელ-გუჯარები, რომელთა რიცხვი თითქმის ათასამდე უნდა ასულდეს! ამათ შორის ისეთი ხელთ-ნაწერიც უნდა, სადაც ბეერი მასალა მოიპოვებოდა ჩვენის ერის პოლიტიკურის ისტორიის შედგენისათვის და საპოლიტიკო ისტორიის წყაროები ხოდა ნაწლებად გვაქვს და ნაკლებად. მას აქვთ აგრე მერე წელიწადია მიეჩნებებიართ და ეერაფერი ვავივივა, სად ან ეის აქვს ეს გუჯარები და ხალხის ნაწარმოები? ამიტომ ჩვენ უმორჩილესად ვთხოვთ ჩვენს წერა-კითხვის საზოგადოებას, შევაცუკობინოს, მიიღო თუ არა ბ-ნ ყორღანისაგან ჩვენ მიერ შეკრიბილი სიგელ-გუჯარები და ხალხური ლექსები და თუ არ მიიღო, იმ შეთხვევაში ბნ ყორღანისა ვთხოვთ, შევაცუკობინოს: რა უყო ეს აუარებელი მასალა? ეს ჩვენთვის ძლიერ საქაროა დღეს; რადგან ვისგანაც მიგვექონდა რამე, ვარწმუნებდით, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებას“ გადასცემთქო და არც ისინი გვიქუდენ. მაგრამ დღეს ჩვენგან მოტყუებული დარჩენ, რადგან „წერა-კითხვის საზოგადოებას“ მიიღო თუ არა მათგან წაღებული საისტორიო მასალა, არ იციან და გვესაყვედურებინან: სჯობდა, ჩენი საქონელი ჩვენვე მოგვემარა და თქვენთვის კი არ მოგვეცა დასაკარგავადო. ამითი ჩვენ ნდობა გვეკარგება. საყვედურიც რომ არ ვიანგარიშოთ, სოფლებში ბეერი რომ ჰქონდეს ეისმე მეცნიერობისათვის გამოსაღებ, მაინც აღარ იძლევა; რაც უნდა ემუხდაროთ. ამიტომ უპოროჩილესად ვთხოვთ, ბ-ნ რედაქტორო, ადგილი მისცეთ





თქვენს პატივცემულს გაზეთში ამ მცირე შენიშვნას, საყვედური თავიდან აგვაცილოთ და სოფელში ნდობა არ მოგვისპოთ.

სიმონ ნიკოლოზის ძე წერეთელი

ხალხური ლექსები

(გვიკუნიანო ბრ. აფხაზეთის)

I



ხლა კი მიხვალ ცხვარშია,
პოსულა ვაპ, გაქორდებოა:
შენს შამოსაველ გზაშია

იორიკ აღიდებოა;
შეცეივა თიკან-ბატკანი,
შეყოლა მოგინდებოა!..

—წყალსა არ შეველ იორსა,
თუ შეველ, ფონსა ავარჩევ;
არ ვეძებ შენისთანასა,
თუ ვეძებ, კარგსა ავარჩევ!

—მინდორში ღორის ბურჯაკი
ახტა და დახტა, გელა ქნა.
კაცმა და შენისთანაჲ,
რაც მოიფიქრა, ეერა ქნა.

II

—ქალო კრულია, განა მზე ხარ,
დილა-გორით ამოსული,
შემიხევი, გეხევეწები
მთას იქითით ვადმოსული!

—არ მიინდობარ, არ შევიხევე
კულსა კულის გეარისასა;
წახელ, იმას დაიკეცებ:
„ხევენას ვიყუე ქალისასა!“

—ქალო, რო გითხარ ქართული,
კლით იყო განა განგება:
შენ აძრახლომა მეწადა, 1)
შენის ავ-კარგის გაგება!

—შენნიმე თვალნ დამიტრებენ,
შენის გულისად მოკეცდები!
როგორც დამიკრაე ფანდურსა,
ისე მე დაგიროკედები...

III

—ქალაზე რო შენ შამოხელ,
ლოლო, ლაღისა ცხენითა?
თავს რად არ გამოიბრუნებ,
ყინას რად მაშევე ცრემლითა?!


—აის ვევი ვარ, ქალოა,
გუშინ რომ არა ვინდოდი:
შენს დედასა და მამასა
საკლავით ვეხევეწებოდი;
შენ ეგ არ მოგვინდებოდა,
თხა-წალღებურა ხტებოდი! 2)
ასე ვაგაზდევ სურვილსა:
ნემსს კულად ავეგებოდე, 3)
პატარას ნარის ჩიტასა 4)
თელს ლოხად ჩავედებოდე... 5)

IV

—ფანდურო, ცოლი მითხოვე,
ყელო-ლილიანი ქალოა.
მარტო ჩამოაჯდებ კრასა;
ჩამაიჭაპანეს თმანია! 6)

—ყორანო, ჭარის ბოლოსა
არ დაველა თვალთა?
ელგუჯა ეერა წახევა,
ყელილიანის ქმარია?

—ენახე და სისხლი ეერა ცხვი,
არწიეს ევარენ მხარნია!...
—ვაპ, თუ სტყუოდე, წყეულო,
მიხევე, დასთხარენ თვალნია!..



1) წალი—ორი წლის დედალი თხა.
2) ძაღს ხშირად „ნემსის კულ“ უწოდებენ ფშაველ-ხევესურნი.
3) ნარის ჩიტა—ნიბლია.
4) ლობი—ჭუჭკი. ამ სიტყვას გამოსთქვამენ: „ლოკი“. არის კიდევ სიტყვა „ლოზი“, რომელიც „დუნესა“ ნიშნავს.
5) ღიღი სირტყილია, თუ ფშაველი დედაკაცი თავ-მობნდილი, თავშიშველა, მამა კაცს დენახევა, მეტადრე მეზობელს და უფრო შორეულს, უტხოს. ამიტომაც დედაკაცი მუდამ ცდილობს მარტოკამ და მოფარებით დაიბანოს თავი. უფრო მეტად მონადირე უფლის თავმობნდილის დედაკაცის ხილვას... ეს ჩვეულება უსაყვით არ შეუცვება.

1) აძრახლომა—ხმის ვაცემა, ლაპარაკი



დრანდის ტაძარი

ამ ტაძრის შესახებ ისტორიაში და არხეოლოგიურს აწერილობაში ბევრი ცნობა არა არის რა. ვახუშტი გაკერთ იხსენებს მას; დუბუას თავის თვალთ არ უნახავს ეს ტაძარი და აღუწერია სხვის მიერ გადმოცემული ცნობებით. ბროსეს გადმოუღია ამ ეკლესიის გეგმა (პლანი), რომელიც ცოტად განსხვავდება ახლანდელს გეგმისაგან და ეს ალბად აიხსნება იმითი, რომ დრანდის ტაძარი მას შემდეგ ძირიანად შეუკეთებიათ. ამ ტაძარს ისეთი მოყვანილობა აქვს, რომ უნდა ვთუქროთ, ძალიან ძველი უნდა იყოს, უადრეს მეთე საუკუნისა; ამიტომ რომ მეთერთმეტე და მეორამეტე საუკუნის ტაძრებს ბოყვი, რომელზედაც გუმბათია დამყარებული, მალაღი და ეწოდა აქვს; მაშინ როდესაც დრანდის ტაძარს ბერად დაბალი და განიერი ბოყვი აქვს.

დრანდის ტაძარს მდებარებს ზღვის პირად ჩრდილო-დასავლეთისკენ, სოხუმიდან ოცდა ოთხის ვერსის სიშორეზედ. დუბუას დროს ვაკულსკის გადმოცემით ამ ტაძარში იპოვნოდა თურმე მრავალი მარმარილოს სვეტები და ფილაქნები, ალბად ნანგრევები ძველის ტაძრის კანკელისა.

1860 წელს ბაქრაძეს დაუთვალეობრებია ეს ტაძარი და შეუნიშნავს გუმბათში დაბატული მაცხოვარი, ფერის-ცვალება და რამდენიმე წმინდანნი, კაცის სიმაღლედ დაბატულნი.

დღეს ეს ტაძარი შიგნით და გარედ კირით შეფეთილია და არაფერი მოაგონებს კაცს მის ძველებურს სიმდიდრეს და კედლის დიდებულს მხატვრობას.

ამ ტაძარს აქვს შიგნით ჯერის სახე და კუთხეებში რგვალი სამლოცველო ეკეტრები და სამწირველოები. საზოგადოდ ტაძარს ეტყობა ბიზანტიის ხელობა, მაგრამ თვით მურნებურს ხუროთ-მოძღვრებასაც დაუმნეცია კვალი წამწვეტებული გუმბათით, რომელიც მოგვაგონებს მეგრულ-აფხაზურს ფაცხურს სახურავს. თვით კედლების საშენებელი მასალა ძველებური აგური და კირია, გარეთ კი თლილის ქვის პერანგი აქვს შემოკრული. ყოველივე ამა გარემოების ძალით ეს ტაძარი უნდა იყოს მეცხრე ან მერვე საუკუნისა, როდესაც აფხაზეთის მთავრობა განთავისუფლდა ბიზანტიის დამოკიდებულებისაგან და დაამყარა საკუთარი მეფობა, საკუთარისავე განათლებისა და ხუროთ-მოძღვრების გეგმის შემოღებით.

«გაი, ჩვენი ბრაიოკ...!»

(გუშლენი მარსი).

გაისის მზე ისევ მალლა იღვა. იმის სხივებზედ მთაწმიდა მწვეანედ ლაღ-ლაღებდა და ქალაქი-დან ჟივილ ხივილით და ხრილით ყურებ გამოქედლილი და მტერით შეზავებული ჰაერით სულ-შებუთულ ხალხს თავისკენ იწვევდა, რომ იმის წვერ-სა და კალთებზედ, სადაც ყოველ ბალახს ენა ამო-ეღვა და ნახად გაიძახდა: «სიცოცხლე, სიცოცხლე და სიცოცხლე», სული მოგბრუნე, მხოლოდ სიტკობებს მისცემიყო და სხვა ყველა დილორი ვა-რამი და ვაგლახი დაეწყო. თითქოს ეს უსიტ-ყვო მიწოდებდა შეგნებინათ, რომ ქალი და ეჭო ჯგუფ-ჯგუფად შემოუღებენ იმის მიკლანჩილ-მოკლანჩილ გზას და სიცილით და ოხუნჯობით ზევით მიეშურე-ბიან. აგერ ზოგი კიდევაც ავიდა იმის მძაღლ კალ-თებზედ და შესასვენებლად შესდვა; ზოგი კი სხვა მხრივ, უგზოდ გაუცქერავ მწვეანზე მიდის და ზევით-ვე მიჩქარება. იმისი კალთები ჩქარა მოიფინა ქალი-თა და ეჭოთ, რომელთაც იმან შთაპებრა უზნეაესი გრძნობა და ყოველივე ბოროტი დაეიწყებინა.

ყველა უზრუნველად მხიარულობს, ცელქობს, დახტის და თავის თავს ბედნიერად სთვლის; მეტის-მეტის სიამოვნებისაგან ყველას მეკრდი მალლა უღე-ლაეს, სახებედ სიხარულის ალმოური ახდის და გუ-ლი უფართოვდება, რომელშიაც ყოველი მათგანი გრძნობს, რომ შეუძლიან მოათავსოს მთელი სამ-ყარო; განურჩევლად ყველა მიიწვიოს, წინ სიყვა-რული გადუშალოს, და, თუ კი შემთხვევა მოით-ხოვს, თავი მსხვერპლად შესწიროს...

გადახტილი მზეც სიხარულით გადასცქერის ამთ და, თითქოს, ენანებოა, რომ ასე ჩქარა უნდა მოა-შაროს თელი ამ ყოველისავე მსხვერპლისათვის გა-შვადებულ საზოგადოებას, რომელშიაც ამ წუთას არა ვითარი ბოროტი განზრახვა არ მოიპოვება, მძი-მედ მიკურავს დასაღვლეთისკენ. იმან ქვეითკენაც გაღი-ხედა, და სიხარული გაუათქვდა, რადგანაც დაი-ნახა, რომ კიდევ, კიდევ და კიდევ მოიღან ამ წმიდა ადგლისკენ, და ისინიც იმგვარივე გრძნობით იმსჯელებიან, როგორც კინად მოსულნი.. მაგ-რამ მზეს ამ დროს რალაც უქმყოფილება შეიტყო. ის უეცრივე შეკრთა. პირველ შეკრთობის შემდეგ უტყვივ სტყარუნა თავისი სხივები ქვეით, თითქმის შთის ძირში, ბალახებსა და ყვავილებს შუა მჯღო-მარე ნაქლილიანად ჩაფიქრებულ ქალისკენ და პირ-და-პირ თვალბეჭი ჩაჰხედა, რომ იქ იმის მიზეზი

ამოეკითხა, რატომ ესეც არ აღისო ზევით და სხეებ-სავით სიხარულს არ ეძლევაო.

ქალმა მუხლებზედ გადაშლილი წიგნი აიღო, მზეს მოაფარა და თითქოს იმისი საიდუმლოს შეტ-ყობა დაუშალა.

— ღიზა ეს რა ქიაა?! ჰკითხა ამ დროს ექვსი წლის ეაჟმა, რომელმაც, ის-ის იყო, მოირბინა თავის ოთხი წლის დასთან ერთად, და მუქა გაუწოდა.

— აბა, სად არის? ჰკითხა ღიზამ და იმის მუ-ქის სინჯვა დაიწყო.

— ეი, სად წასულა?! წამოიძახა პატარა ქალ-მა და მაშინვე თვლების ძირს ცეცება დაიწყო.

ეაჟი კი შეკრთა და გაკვირვებით ღიზას შესცქე-როდა. იმას ვერ გავგო, თუ ისე როგორ გაეჭარდა ხელიდან, რომ ვერ შეიტყო.

— აი, შე უხვიროვ, შენა... ღიმილით უთხრა ღიზამ და იმის გაოფლიანებულ ღოყას აღერსით ხელი ჩამოუსთ.

— აქ აღის, აქ სიხარულით წამოიძახა ამ დროს ქალმა და თავის პაწაწინა ფუნჩულა თითებში ღი-ზას კალთიდან მარიამ-ქია აიყვანა.

— ეს იყო, სიკო? ჰკითხა ღიზამ და პატარა ქალს მარიამ-ქია გამოართვა.

— ჰო, ეგ არის! სიხარულით უნახუბა სიკომ და ხელი გამოხართმევად წაატანა, მაგრამ ღიზამ არ მიჰსცა.

— ეს მარიამ-ქია! უთხრა ღიზამ და ხელის გულზედ დასივა.

— აბა, აქ უცქარეთ, რას იზამს მარიამ-ქია. უთხრა ყმაწვილებს, როცა მარიამ-ქიამ იმის ხელის გულზედ ცოცვა დაიწყო და მერე მოსთქვა: «მა-რიამ-ქიავ, ნუცი საით გათხოვდება...»

— გადმოვალდება, გადმოვალდება... გააწყეტინა ნუციმ ღიზას სიტყვა და ხელი წაატანა მარიამ-ქიას, რომელიც ღიზას ნეკის წვერზედ გადმოეკიდა.

— ხელს ნუ ახლებ, ნუ! არ გადმოვარდება. უთხრა ღიზამ და ისევ განაგრძო თავის ლექსი; «მა-რიამ-ქიავ, ნუცი საით გათხოვდება...»

ყმაწვილები გატაცებით შესცქეროდნენ მოკუ-ტუნე თიხას, რომელიც რივ რივად გაცოცვდა ხან ერთ თითზე და ხან მეორეზედ, და ხმას არ იღებ-დნენ. ღიზა კი განუწყვეტლივ იმეორებდა: «მარიამ-ქიავ, ნუცი საით გათხოვდებაო» და თითონაც თვალს არ ამორებდა.

მარიამ-ქიამ მოირიგა ყველა თითები. ბოლოს მეორედ გაცოცდა შუა თითზედ და ზედ წვერზედ

ტრილის დროს ფრთების რხევა დაიწყო. ცოტა ხნის ტრილის შემდეგ ფრთები მთლად გაშალა და ყსაწი-ლებს თავზედ გადაფარინდა.

— უი!... ნუციმ და სიკომ უნებლიედ თითქმის ერთად წამოიძახეს, და უნებლიედვე ხელები წაატანეს დასატერად, როცა მარიამ-ქია გაფრინდა. ყმაწვი-ლები მაშინვე ერთად დაედგნენ უკან.

ლიზამაც თვალი გააყოლა ყმაწვილებს და, როცა იმათ მარიამ-ქია ისევ დაიჭირეს და დაიწყეს თამაშობა, გულის ამოსკენით წამოიძახა: „ნეტავი თქვენაო“ და წიგნი ისევ გაღიშალა მუნღებზედ; მაგრამ წაიჭებოთ კი არც ერთი სტრიქონი არ წაუთხოხავს, თუმცა წიგნს თვალს არ ამორებდა. ის სულ სხვა გეარ წიგნს კითხულობდა ამ დროს. იმის გონების თვალს მრავალ გვერდიანი დიდი მატრიანე გადაეშალა, რომელშიაც მოთხრობილი იყო იმისი წარსული სიტყვებით კი არა, პირდაპირ ცოცხალი არსებებით, რომელნიც მოძრაობდნენ, ლაპარაკობდნენ, რაც იმას მკაფიოდ ესმოდა, და მოქმედებდნენ. გატაცებით უმზერდა მატრიანეს, და, თუმცა ის ელვასავით სწრაფად თავისთავად იფურცლებოდა, არც ერთი სურათი თავის დაწერილებითი მოქმედებით შეუმჩნეველი არა რჩებოდა.

— ლიზა, რას ჩაფიქრებულხარ?! მიჰმართა ამ დროს ელადა ყმაწვილმა კაცმა, რომლის მოსვლა ლიზამ სულ ვერ შეამჩნია.

ის ამ ხმაზედ მთლად შეირყა და მაშინვე ფეხზედ წამოვდა.

— დათიკო!... წამოდგომის უმაღლეს მიჰმართა იმ ნაირი ხმით, რომ შიგ სიყვარულიცა და საყვედურიც იხატებოდა და ნაღვლიანად დაუწყო მზერა დათიკოს, რომელიც ამ დროს ალერსიანი ღიმილით შეესტკვროდა ლიზას სიყვარულით სასენ თვალებს.

კარგახანს უმზერდენ ასე ხმის ამოუღებელი ერთმანეთს; ბოლოს დათიკომ დაუჭირა ხელები და ძირს დასწია.

— დაჯექი, ლიზა!.. ალერსიანად უთხრა და ორივემ ერთად ჩაიკცეს.

დათიკომ დაჯდომისასვე თავი ლიზას მკერდს მიაყრდა და ხელის გულზე ხანგრძლივად აკოცა. იმან კი მგორე ხელით თმა აუწია შუბლიდან და მორთოლვარე ტუჩები შეახო.

— იცი, ლიზა, ხელის გულზედ კოცნა რას ნიშნავს?

— რასა?

— იმასა, რომ მკოცნელი ამით ეუბნება: „მე მსურს, რომ ჩემისთანად სხვას არავის უყვარდეთ“.

— მაშ გინდა რომ შენისთანად არავის ეუყვარდეს? მაშხიარულდებოდა ღიმილით ჰკითხა ლიზამ.

— მაშ არ იცი?!

— მერე შენ რა დაგაკლებდა, რომ სხვას შენზე ძალიან უყვარდეს, თუ კი..

— რაო?! გველ ნაბენივით უყვარე მიბრუნდა ლიზასკენ და თვალების კევსებით დაუწყო მზერა:

ლიზას თვალის გაუბრწყინდა იმის მავიერად, რომ დათიკოს მარისხანე სახის დანახეზედ შიში აღძროდა, სიხარულით გულმა ფანქალი დაუწყო, და ტუჩებზედ სიამოვნების ღიმილი გადაუქროდა.

„მაგ მრისხანებით უფრო დამიბტყიე შენი სიყვარული, ვიდრე ხელის გულის კოცნით!“ — უსიტყვოდ უპასუხა ლიზამ დათიკოს და უფრო მომხიარულდა.

ლიზა შესტკვროდა სიხარულით მრისხანედ მზერად დათიკოს, და ყოველივე ეჭვი, თუკი ამ რამდენისამე წუთის წინ იმის სიყვარულის შესახებ ეზარებოდა და მტანჯავდა, ახლა სულ მოშორდა და შორს, საღდაც შორს გადაიკარგა.

ის მზად იყო გადასვროდა და ამოეკოცნა მრისხანედ მიუღწევრე თვალები, რომ დაემგვიდებინა; კოცნით დაემტკიცებინა, რომ ის, მარტო ის არის იმის სიკოცხლე და იმედი, იმისი აწმყო და მომავალი; მაგრამ გვიანობდა იმისთვის, რომ ცოტათი კიდევ განეგრძო თავისი სიამოვნება.

— ლიზა!.. წამოიძახა ამ დროს დათიკომ მრისხანედ კი არა, როგორც წყლან, ღმობიერად, ტანში მოშლილივით ჩაიკცა და მწუხარებით საესე თვალები ისევ მიაპყრო ლიზას. დათიკოს აწვანირა უეცრად ცელილებამ ლიზაც დააღონა, იმას უეცრი მოშორდა სიხიარულედ, და სულ რამდენისამე წუთის წინ შორს გაფანტული შავი ფიქრები ისევ დაუბრუნდა.

— დათიკო!.. გულის სიღრმიდან წამოიძახა ლიზამ და ამეც კილოთი განაგრძო:

— რატომ არ მეტყვი, რას ნიშნავს შენი მავნაირი ქცევა?.. განა ვერ გაჩნენ, რომ ამ ბოლოს დროს რაღასაც მიმაღავ, გინდა მითხრა რამ, მაგრამ არ მეუბნები?! დათიკო, დათიკო, მითხარ, ნუ მიმაღავ, თორემ ლამის არის გავიწყდეს; იცი, შენი მავნაირი ქცევა რანაირად გულის მიკლავს და მტანჯავს; რამდენ რას მამუქრებინებს და ეტეს მიბადებს თავს; ორიღესაც შენ მოგშორდები ხოლმე!.. იქნება აღარ...

— ნუ გაათავებს ნუ!.. ვე ტყუილად გგონია!

— მაშ რა ვიფიქრო, ჩემო დათიკო?!

— ნურაფერს, ნუ!.. არეულად უბახუბა დათიკომ?

— სტყუი, სტყუი!.. მითხარი, ნუ მიძალავ! დატყინებით მიმართა ლიზამ და ხელელები დატყურა.

— მართალია, ჩემო კარგო, მე ამბოლოს დროს ჩემ ქერქში არა ვარ; მართალია. მიწა გეთხზო რამე, მაგრამ ვერ გაიბეღენია... არეულად დაიწყო დათიკომ.

— რატომ, რატომ?!

— მე, განავრძობ ისევ არეულად დათიკომ, სატყმე-სატყმეზედ მოიყვანე და ამ ორ კვირას შემდეგ ჯვარს დაეწერო. ეს ხომ შენთვის ახალი ამბავია?! შენ ასე ადრე არ მოველოდი

— მერე ევ გაუწებდა, ჩემო დათიკო?!

— არა!.. ხომ ხედავ, რა ცოტა დროა გეძებს ჯვარის წერამდის და... მე კი შენი წარსულიდან არა ვიცი რა. რატომ არას მტყუი?! შენი წარსულის გაუგებრობა მტანჯავს და მათქვინებს...

— განა არ იცი ჩემი წარსული?! განა არ მიტყვამს, რომ მე ჯერ ესწავლობდი და როცა სწავლა დავემთავრე, რადგანაც დედაჩემს ჩემი შენახვა არ შეეძლო, მაშინვე აღმზარდეთობას მივეყი ხელი. და, აი, ეს ორი წელიწადია, სხვის ოჯახში ვარ.

— ვერ მიმიხვდი! მე კარგად ვიცი, რომ შენ სხვის ოჯახში აღმზარდელად ხარ და კიდევც ევ მათქვინებს. სხვის ოჯახში დედიშენის თვალი ყოველთვის ვერ გიტკერის, რომ გავაფრთხილოს და ხიფათს მოგაშოროს. ხიფათი კი სხვის ოჯახში მყოფ გამაოუტეველ ქალს ბევრჯერ ეღობება, და, რა ვიცი, იქნება თაღი ვერ შეიმარჯვებ და შევადინა ვინმე...

ლიზა ამ სიტყვებზედ სულ გაშრა. დათიკოს სიტყვებმა იმას გული გაუკაწრა და იმის უგრძობიერეს სიმს კლანჭი გაქარა, რამაც დიდხანს არ ალოდინა და გულის საკლავი ხმა გამაძლირა.

— დათიკო, დათიკო! ტირილით დაიწყო ლიზამ და ცრემლები დაბალუბით გადმოჰყარა: ისეთი რა ჰნახე ჩემში, რომ ჩემ უმანკოებაზედ ეჭვი დაგებდა?! რომ შემტდარეყვიდი და უმანკოება დამეკარგა, განა აქამდის არ ვიტყუიდი? თუ ვინმე შემატდენდა, ჩემის მხრივ ამ შეტდენას სიყვარული ეღებოდა სარჩულად და მერე ამას შემდეგ შენ ასე განუსაზღვრებლად შემიყვარებოდი, როგორც ახლა მიყვარხარ?! ის შეტეომა ..

იმას გული ისევ დაუღსდა, რომ ლაპარაკი ევლარ შესძლო და სიტყვა შესწყიტა. ის ტირილად და გულს ევლარ იბრუნებდა. დათიკო კი უსიტყვოდ სწყქვილიდა თავის თავს, რომ წინ დაუხებდავი კითხვით ასეთი სატანჯველი მიაყენა იმას, რომელსაც თავყვანს სტყმედა და ამოქრთებდა.

— ლიზა, ლიზა, გვეედრები, მახატევი!.. მახატევი!.. ხეყნით მიმართა დათიკომ და ლიზას ცრემლით დასველებულ ხელეებს კაცნა დაუწყო.

— დათიკო! გული-ამოჯდომით უთხრა ლიზამ, როცა დათიკო ეხეწებოდა და ხელეებს უკაცნიდა— მე რომ მკითხავ, რატომ შენ თავზედ კი არას მტყუი; შენც ჩემსავით პირათლად შევიდოიან შეზხველე ჩვენს ცოლქმრობას?!

დათიკომ უტყუი კაცნას თავი დაანება და გაკვირებით ლიზას შეხვდა.

— რას გაუხმებულხარ და არას მტყუი?!

— მე მკითხებნი?! უფრო გაკვირებით მკითხა დათიკომ.

შენ, რას გაკვირევი?! მითხარ, მითხარ, ნუ დამიძალავ.

— ლიზა,— ღიმილით უბახუბა დათიკომ— ეაყებს მანვანირ კითხვას არ აძლევენ. ეაყებს ცოდედ არ უთვლიან იმას, რაც ქალისთვის მომავლენიველი ცოდედა, და ამისთვის...

— ამისთვის შენც, შენც!.. ვაი ჩვენს ბრალოცი!.. წამოიძახა ლიზამ და თვალზედ ხელის მიფარებით თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეაყებს აქეთ ნება მოსთხოვონ ქალს სიწმიდე და ქალს კი არა! რისთვის, რისთვის? განა დრო არ არის, ეაყებსაც ის მოეთხოვებოდეს, რაც ქალებს?! არა, წმიდასთან წმიდამ უნდა დიქიროს კავშირი!..

უკანასკნელი სიტყვები თავის გაქვეით წამოიძახა ლიზამ და წასასვლელად წამოაგა.

ამ დროს მოიბრძნეს ბავშვებმა და დათიკოს უნდა მოხვედრენ, მაგრამ ლიზას ნაშტორალეც სახეს რომ შეხებდეს, იმას გვერდით ამოუდგენ და მგლის თვალთ დაუწყებს მხერა დათიკოს, რადგანაც იგრძნეს, რომ ლიზას ტირილის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო.

წ. არავკისბირელი

ბიბლიოგრაფია

„გვანდგინა“ დედაე შექიანენია თსრთახნა სეულისს ფინანს მარტუბელსა, გამოცემული მღვდლის ვ. გ. კარბელაშვილის მიერ.



იდი მადლობის ღირსია ამ შენიერის სულის ამბალღებელი და სათნოების მოპოვებელი თხზულების გამოცემისთვის მღვდელი ეპისკოპარბელაშვილი, მეტადრე აძროს, როდესაც ქართული სამღვდლოება მოკლებულია ძველის სასულიერო მწერლობის ცოდნას და იმისდა გვარადეე ხეწობით, სათნოებით და ქრისტეს სარწმუნოებაზედ დამყარებელი გრძობით ბევრად უფროა დაბლა დავს იაკ, ვიდრე ძველი სამღვდლოება, როდესაც იგი თავს სტყდა თავის მრეელისა და ერისათვის, როგორც კეთილი მწყემსი თავის ცხოვართათვის. მაშინ სამღვდლოება ძლიერი იყო თავის სამწყსოს გარემოქრებით და მათი მოჩილებით. დღეს სამწყსო

განუყოლია, მახედ ჩვენს სამღვდელთაგანს აღარა აქვს გავლენა და ამისვესთვის თვით სამღვდელთაგან დაჩაგრული შეიქნა, რადგან მან დაკარგა თავის სამწყსოს გული. ძველად სამღვდელთაგან იმისთვის ჰქონდა მარკოვებული უფლებად ერის განგებზედ, რომ თვითონ განვიტარებულ იყო ასეთი მდიდარი სასულიერო მწიგნობრობით, როგორც არის ეს სათნოებით სავსე თხზულება „ვიკრეგინი“. ასეთის წიგნების კითხვით სამღვდელთაგან იყო მაღლის წნისა, მხნე და დაულაღვი პატრონი თავის ერისა. სასიამოვნოდ ჩვენდა ამ ბოლოს დროს საქართველოს სამღვდელთაგან ილიძებს და აქცევს ჯგეროვანს უფრადლებას ასეთი წიგნების, როგორც არის „ვიკრეგინი“, „ოქროს წყარო“, „სიმბრძნე ბალაფარისა“, „სამოთხის ყველი“, „მარკალიტი“ და სხვ.

ამისთანა ჩინებულს მოღვაწეობას ჩვენს ახალ-ვაზადა მღვდლებისს სრული ჩინი თანაგრძობა თან მისდევს.

ჩენ მხოლოდ ვისურვებთ, რომ მღვდელმა კარბელა შეიღბა უფრო დიდი ყურადღება მიაქციოს კორექტურულს შეცდომებს. წიგნის ფასი სამი შაურია.



ტრეპლები, ლექსები დოქტორ მერკურისა, ნ. გელევილის მიერ გამოცემულია. დეტუ მგერელი, როგორც ახალგაზნდა მწერალი შესაშინევია თავისი ნიჭით. მას არ აკლია პოეტური აღტაცება. ბერი მისი ლექსები ბიღმა გრძნობით არის აღბეჭდილი. მაგრამ ხშირად გარეგანი ფორმა ლექსისა ვერ უდრის მის შინაგანს შევნიერებას. აკაკის ლექსებს შემდეგ მისი ლექსები არ მოგვეწონება; თითქოს მას თავისებურად და თავის საკუთარს კილოზედ მოუშარათვის ჩანებ, თითქოს წინამორბედად და მოძღვრად ჰყოლია მხოლოდ მფორმოც წლების ქართული პოეტები და განსაკუთრებით „საქართველოს მოამბის“ მკლანანი. მისი ლექსი არ არის სუბუქ ფრთითა აღმამფრენი. მაგრამ ეს ნაკლებლენება უფრო ჩინი-მწერლების თხზულებათა გამოუტყემლობას ბრალიას სანამდის ჩინი თანამედროვე მწერლების თხზულებანი თავთავის ღირზე არ გამოვა, რომ ახალგაზნდას მისეცეს ხელში შესასწავლად, მანამდის მემკიდრეობითი ზრდა ლიტერატურისაც შეუძლებელია. ნათქვამია: „წინაკაცი უკანაკაცის ხილია“. საუბედუროდ ჩვენის საზოგადო ცხოვრების მკონარეობის გამო ჩვენთა წინაკაცთა ნაწარმოები ჩრდილში იყო ამამდის მიფარებული და ახალგაზნობის გონება მითი ვერ იკვებებოდა. კიდევ ამიტვედ დიდს ჩინი შეწვლბას ვაძლევთ ჩვენ გამოცემულ საზოგადოებათა, რომელნიც კეთილშობილური მოღვაწეობით გვიშლიან თვალ-წინ წარსულის დროს ნა-

ყოფს ჩინის თაობისას. მხოლოდ ამას შემდეგ იქნება შესაძლებელი ნამდვილი წარმატება ჩინის ლიტერატურისა.

აკაკის პოეტურმა ნიჭმა ღრმა კვალი გავლყო ძველსა და ახალს შორის და მის თხზულებათა გამოცემით მკაფიოდ ნათელი ზოლი გაველემა ახალს ხანას ჩინის ლიტერატურისას. აი, ამით აიხსნება, რომ დეტუ მგერელის მუზა გარეგანი ფორმით ჩარჩენილა ძველსა და ახალს შორის, თუმცა მისს პონების შინაარს ეტყობა კმაბუკობის ღონე და სიმკვირცხლე მომავლის უფრო მხნე თაობისა.

„ტრემლები“ სუფთად გამოცემული ლექსთა კრებაა, ნორჩი გრძნობით აღსავსე. პოეტი არ კმაყოფილდება ხელ-ფხვ მამდუნებელი უშუაქმდობით, იწვევს ახალთაობას ახალი შრომისთვის და უფრო განიერად შემოფარგულულ საერო ცხოვრების განზრახვისათვის. ერთი უღრესი ღირსებე დეტუ მგერელის ლექსებისა ისიც არის, რომ მკითხველს მხნეობას უღვიძებს უფრო გაბედულის მოქმედებისათვის.

ამისთანა წიგნაკისათვის ხუთი შაური არ უნდა იყოს ძვირი.

XX

რედქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა

განცხადება

სპადასნოა წარმოება „როკვი“

მიხაილ სვეტანეს მის ბეთანიშვილის ქ. ბათუმში.

ამ ბალში მოჰყავთ ცხელი ქვეყნების, ორანჟერის, და სახლის მოსართავი მცენარეები. აგრეთვე ისეილება იმათი წერგები და ყვავილების ძირები. რადგან ქ. ბათუმში ცხელი, თითქმის ტროპიკული ჰავაა, ამისგანო ბეთანიშვილის ბალში მოჰყავთ და უფლიან ძვირფას ტროპიკულს მცენარეებს, რომელნიც ჩრდილოეთის გრად ჰაერში არ ხარობენ და მსურველთ შეუძლიანთ მათ გემოვნებისამებრ მოიპოვონ ყოველნაირი ამგვარი მცენარეები, რომელნიც ოთახის თბილ ჰაერში ხარობენ. ბეთანიშვილის ბალში არის ამ ყაბად ორასი ჩანის ვარდისა, ბურბონისა, რემონტანტისა და სხვა ნაირი ვარდების წერგები. ხეხილის წერგები საუკეთესო რუსეთის რეკროპის გვარისა, ორისა და სანის წლისა, ფიქველური და ლიბანოს კედრის მგზავის ხეების წერგები; ჩირკვეული მცენარეები ყოველგვარნი, რომელნიც მუდამ მწუნაობენ, ანუ რომელთაც ზამთრობით ფლოთილი სცივით. სია ამ მცენარეებისა დაბარებისათანავე სოდ იგზუნება.